



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 244  
05/02/2020

244-02-4-202002051725



### ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 აპრილის N27 დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს დღის წესრიგი.

2. დღის წესრიგით განსახილველ საკითხებად განისაზღვროს:

ა. ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სამუშაო შეხვედრის სხდომის გახსნა;

მომხს. - ონის მუნიციპალიტეტის მერი-ემზარ საბანაძე.

ბ. 2019 წლის 7 ოქტომბერს გამართულ „ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს“ სხდომაზე გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა;

გ. „ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს“ 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით დავალებების გაცემა.

3. ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომა გაიმართოს 2020 წლის 06 თებერვალს 12.00 სთ-ზე ონის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართ. დავით აღმაშენებლის ქ. N40).

4. ბრძანება გადაეგზავნოს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

